

კარი ერთოსტელი

კოლხეთი  
ფსალმენი

100-ტომეული




გამომცემლობა „კნივერსალი“  
თბილისი 2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და  
საზოგადო მოღვაწთა საერთაშორისო აკადემია  
„ეპლიუს-საქართველო“

საქართველოს მროველი აკადემია

# კუსა ექისტელი



## კოლეური ფსალმუნები

0169 ულეათა კრებული  
100 ფომად


2020



საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და  
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია  
„ეპლიუს-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

# კუკა ეჭილელი



კოლეური  
ფსალმუნები

ტომი 55

2020



მთ. რედაქტორი

## ლარისა ხაჭაპურიძე

საქართველოს სახალხო  
არტისტი, საქართველოს გიგა  
ლორთქიფანიძის სახელობის  
თეატრის, კინოს, მეცნიერთა  
და საზოგადო მოღვაწეთა  
აკადემიის პრეზიდენტი

© ვაჟა ეგრისელი, 2020

გამომცემლობა „კენცენსალი“, 2020

---

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4, ტე: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)

ISBN 978-9941-26-862-5 (55 ტომი)



\* \* \*

ვაკა უბრისებდი დაიგადა ხოგის რაიონის სრულდ ხორბაში. განათლებით იურისტი და ინჟინერია. 1983 წელს დაამთავრა მრავალის მასიმ გროვის სახელმგბის მსოფლიო ლიტერატურის ინსტუტი. ორმოცამდე წიგნის აპტორია. თარგმნილი და ცალკე წიგნებად აქვთ გამოცემული საზღვარგარეთის ძველების მრმოცდათამადე ახალგაზრდა პოეტის ლექსების მცირე ანთოლოგია – „ოქროს მტევნია“, აღმსანდრა სმირნოვა-კონდოვას მონოგრაფია – „პიტურული ალიო მარავილი“, ვეროვნო ტიურჩევის ლექსები და სხვა.

1993 წელს ბამოვიდა კონტის ათასბორდიანი, რომ ათასაბორ ლექსის მომცველი ერთორმეული – „იქმნე ნაივ-ლი!“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რჩევაბლიის ბამოვიცებლობა „მოლოდინება“ ბამოსცა ვაჟა უბრისელის „კოლხური შასლებურების ხუთორმეულის ათასზე მეტ გვერდიანი კონკრეტური ფონი, რომელშიც რინათასეს მეტი კონტური მჩნდველია იყო დაგენდილი. 2006, 2007, 2008 წლებში ბამოვიდა კონტის მეორე, მსახური, მეორეს ათას-ათას გვერდიანი ფონები, ხოლო 2011 წელს დაიგენდა კონტის მახსომ, 1575 გვერდიანი ფონი, რომელშიც 2500-ზე მეტი ლექსია დასტაბ-ბეჭდი.

ვაქა ებრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მონო-ბრძანებია დაწერილი და ცალკე წიბენებად გამოცემული.

ვაჟა ებრისელი საქართველოს და მსოფლიოს რამდენი-  
მე მეცნიერებათა აკადემიის ნაგდვილი ტევრია... 2016 წლიდან  
საქართველოს მოერალთა, მეცნიერთა და სახოგადო მოდე-  
რათა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ს და  
საქართველოს ეროვნული აკადემიაშ დაიწყებს ქართული კო-  
უნის რაინდის, საქართველოს მოერალთა კაგზირის, ვაჟა-  
შვაგელასა და ბალაკტიონ ტაბიძის პრემიების დაურეჩატის,  
დირსების ორდენის ვაკალერის, ქართული კულტურის დესა-  
ნის გედლისა და „დიონესურია 2005“-ის, მგვილობის მოწოდების  
ვარსკვლავისა და მგვილობის დროშის ორდენის მფლობელის,  
სახალხო კოეფის, საქართველოს მოერალთა მეცნიერთა და  
სახოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-  
საქართველო“-ს კრესილენტის, საქართველოს ეროვნული და



ავხანეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და სამართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობებითა“ „ვარძის“, „აიას“ აკადემიკის ნადვილი წევრის, ჩატბლის, უზბღილის, ხობის, იყალთოს სა-აატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასხე მეტბვერდიანი ტო-მეულების „კოლეჯი შასლაშვერის“ (ოცდაათიათასხე მეტი ლექსი) აპტორის – ვაჟა უბრისელის ახალი, ოჩული „კოლეჯ-რი შასლაშვერის“ (ოცდაათომობულის გამოცემა. გამომცემ-ლობა „უნივერსალმა“ გამოსცა კოექტის ხუთასხე მეტბვერდი-ანი, უბადლეს კოლიბრაფიულ ღონისე შესრულებული ტომები. 2019 წლის მიურულს გამოვიდა „კოლეჯი შასლაშვერის“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენა 90 ტომია (უკლებლივ) მზის სინათლე იხილა 2020 წელს. გამსაღებულია დასახურდად ვაჟა უბრისელის კლასისური კოექტის ათომობუ-ლი, აბრეტვე, კოექტისადმი მიძღვნილი ქართველი და უცხოე-ლი კოექტების, მეცნიერებისა და სახოგადო მოღვაწეების (ათასამდე აპტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცნებებული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიგაროა ვაზისის (კოლე-ტის) საერო-სამეცნიერო აკადემიის საერთო კრება, რომელ-მაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე დია კონსისტრი ერო-სხად აირჩია აგავე კადემიის 30ცე-კარეზიდენტი, ცხობილი კოექტი, ქართული კოექტის რაინდი, ქართული კულტურის დესანტი, „კოლეჯი შასლაშვერის“ 100-ტომეულის აპტორი, იურიდიულ მეცნიერებათა საპატიო დოკტორი, აროგვესორი ვაჟა უბრისელი.

გახ. „საქართველოს რესპუბლიკა“,  
2020 წლის 22 ოქტომბერი

კყავს მეუღლე – გილდა სეხიშვილი (მუხრალი) და ორი ვაქიტვილი ზრუბი და დაჩი (ორივა იურისტი) და სამი მვი-ლიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილე. იგი – მეცხევ შვილია (შვილი ქმა და ორი და).





## პოეტის ასტომული „კოსმიური პოეზია“

ვაშა ებრისელის შესახებ დიდი ხნის ფინაც ვწერდი: „რქს-თველს აკაპის და ბალაპტიონს, ღმირთი არ მიწვის რომ შება-დარო. ბავხარ ზღვის ღმლვას და ნაზ სირსაც, რომ აზანზარებს ჩემად სამყაროს...“

ამჟამად, როცა პოეტის ზდაპრული კოსმიური „შალმუნე-ბის“ ჯერ არნახული, ჯერ არ გაგონილი, ხუთასუმ, ათასებ, ათას ხუთასუმ მიტგვერდიანი „პაჭაღლო“, ოქროს ყდაში ჩასული, ოცდათოტომეული ზავითხევი, ჩემი ძველი აზრი რადიკალურად უარვდავი და... დღეს ქვეყნის ბასაბონად ხბამაღლა ვაცხადებ: ვა-შა მგრისელი არც რუსთაველს, არც აკაპის, არც ბალაპტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე კოეცს არა ჰპაპს...“

ის კრეისტურიული კოლხეთის „შუტაია“, არმის ჰალაში მდგა-რი მუხაა, რომელსაც ოქროს სამზისი ეკიდა (რომელიც გერმენმა პი არა, ჰელაზგა იაზონება მედვასთან ერთად რომ გაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მითიური ხელმოწის, აიეტის ხელი დარ-ბელი, ის ურნეულ მოდარაჯე მუხაა, რომლის ცადავადილ ტო-ტეპავე, კოეჭმა ოქროს საღმისის „ბონის“ მაბიერ თავისი „კოლ-ხერი შალმუნების“ იგავითვალებრივი ასტომული დაკიდა და ბააცოცხლა, მიძინებული, დავიუყვის ნაცარიმიყრილი, არა მარ-ტო კოლხეთის, არამედ მიღროინდებლი სამყაროს ოცდათოთხმე-ტებ მეტ საუკუნვანი მითებით, ლეგენდებითა და საოცენებით დახუნდული ისტორია, რაც კომერციიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ქვეყნის, არც ერთ კალმოსანს არ გაუკითხავა.

100-ტომეული... ქვეყნის განენის დღიდან, XXI საუკუნის რის-რაქამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ფილოსოფიური, რელიგიური, მითოლოგიური, ყოვლისმოცველი კომია, ჯერ-ჯერობით არავის შეუძლია დედამიწაზე...


კოსმოსში კ...

დაგრდოს:

„აიეტის ზდაპრულ კოლხეთის, მტრიპისა და სიძულვილის გვე-ლუშაპი მისწოდია... მათ იციან იქ იღვება დედამიწის ისტორია“.

### გულახ ხარაიზვილი

კოეჭი, ბალაპტიონ ტაგიძის არევის დაურიატი,  
ჯემბერ ლეხაგას სახელობის მეცნიერებათა  
სამრთაშორისო აკადემიის არმზილენტი





„გულუიგად შესვლი ყოველ შებას, ყოველ ძაბებას.“

ა. პუშკინი

შოთარიშვალის მაბიერ

(გაგრძელება)

ქართველი ხალხის შავბნელი წარსულის შე-  
მაძრწუნებელი ეპიზოდებია დახატული ვაჟა ეგრისე-  
ლის ამ ცრემლდანაფრქვევ სტრიქონებში:

\*

„ქარებს გადმოაქვთ წარსულიდან  
ცივი ციაგით,  
მეგრელი დედის  
შეცხადება....

ცხენთა თქარენი...  
ბავშვის ტირილი...  
შუბლშეკრული მთვარე-კეთილი,  
ანძების რწევა....

თურქ-თათართა ხმები  
ტიალი...  
მიწის მკერდიდან თავაწყვეტილი,  
ლაშდაღრენილი ზღვა-ზეირთების  
ჯაჭვის ზრიალი“.



პოეტის ფანტაზია უსაზღვროა და უნაპირო, პოეტური კონტექსტები აზრობრივი დატვირთვის თვალსაზრისით საოცრად ტევადი ხდება. !რუანტელისმომგრელი, სულისა და გულის შემძვრელი ამ სტრიქონების წაკითხვისას აუცილებლად გაგვახსენდება პოეტის მეორე ლირიკული ნაწარმოები, რომელშიც იგი გამოთქვამს პატრიოტულ მწერალებას, რომ გვიან მოევლინა სააქაოს:

\*

„როცა ეგრისის ციხეს ჩავუკლი,  
გვიან გაჩენის შემაურეოლებს  
დანაშაული,  
და მესმის ხმები, შეწყალების არა მთხოვნელთა:  
მთვარის ფარით და  
მზის შუბით ხელში,  
ქონგურებზე მდგარ  
გუბაზ მეფის მეციხოვნეთა“.

მოხმობილი შედარებები და ეპითეტები ფილოსოფიური ფიქრების აღმძვრელია. მედიტაციისაკენ გვიძიგებს და წინ წამოწევს მარადიულ პრობლემას — სამშობლოს ნათელი მომავლისათვის ბრძოლას.

აქ მოხმობილი პოეტური ხატები აერთებს ჩვენს წარსულსა და დღევანდელობას და ამ გზით არის გასიგრძებანებული მთელი საქართველოს ტრაგიკული ისტორია. ამავე დროს ლექსის ფინალით: „მთვა-



რის ფარით და მზის შებით ხელში“... პოეტის ჩანაფიქრი მაქსიმალური სრულყოფილებით არის გაცხადებული.

1937 წლის სულიან-ხორციანად შემაზრზენ ტრაგედიას გვახსენებს თანამემამულეების ნაღველმორეული, მაგრამ გულმართალი პოეტის ეს ძლიერი სტრიქონები:

\*

„მომრავლდა...

გახშირდა...

სიკვდილთან თამაში...

სიკვდილს ეთამაშებოდა ძმა-ძმას და მამა-შვილს.

დაძრწოდა გაცემა...

ჰყვაოდა ღალატი,

ბრძანებით განგების თუ კაცის უფლებით.

იღგნენ სკამებზე და...

სიკვდილს და ჯალათებს

სათვალეებად ეკეთათ უულფები“.

ასეთმა ლექსებმა მოუპოვა ვაჟა ეგრისელს მაღალი ავტორიტეტი. ეს კი საამაყოცაა, სასახელოც, რადგანაც ვინც თვითონ მოიპოვებს სახელს, იგი ბევრით წინ არის იმაზე, ვისაც სახელი პაპათაგან რჩება. ამიტომაც არის თქმული, რომ „უფრო სასახლოა კაცმა თავისი გვარიშვილობა ასახელოს, ვიდ-



რე სახელოვანის გვარიშვილობით თავს იწონებდე-  
სო“.

„ვაჟა ეგრისელის ლექსები — ოქროს ზარების  
რეკვაა — აბობოქრებულ სულს, ძილისპირულივით  
რომ გვიმშვიდებს“.

„ვაჟა ეგრისელის ფიქრმიუწვდომელ შემოქმედე-  
ბას დრმა პატრიოტული ქდერადობა, სითბო, ლირი-  
კული სინატიფე, ჭეშმარიტი პოეზიის მომნუსხველი  
მადლი და ლაზათი ახლავს“.

1989 წლის ცხრა აპრილის შემაზრზენი უბედუ-  
რებაა დახატული ვაჟა ეგრისელის ორ ლექსში  
„ქაშუეთი“, „ტყვიების ყვავილი“. ორივე ლირიკული  
ნაწარმოების წაკითხვისას გვესმის სიკვდილის ზა-  
რების რეკვა:

1. „შეხედეთ ქაშუეთს, დვთის მოსავნო!

კედლებზე ქაშვეთის —

„დვთის წყალობა და მადლი“ მირონის,

ძმათა დანდობა და „პატიება“<sup>o</sup>

„სხვაც“,

ვით ქართველთა „საქმენი საგმირონი“

ამოტვიფრული არის ტყვიებით“.

2. „ჩემს თბილისს უნახავს ცეცხლიც და მახვილიც,

მაგრამ ეს სხვა იყო...

ვერ ირჩენს იარებს,



ერთბაშად ამდენი ტყვიების „ყვავილი?!“

შეხედეთ!

ქაშუეთის კედლებზე ნატყვიარებს,  
ყველა ჩემს გულშია გავლილი“.

ლექსებში საოცრად ლაკონურად, ზუსტადაა  
გადმოცემული იმ შავბეჭდ დღეს ვერაგი, კაციჭამია  
მტრების მუხთლობა. სავსებით სწორია პოეტი, როცა  
ამბობს: ქართველ ხალხს ბევრი განსაცდელი უნა-  
ხავს, მაგრამ საქართველოს ისტორიაში ცხრა აპრი-  
ლი განსაკუთრებით ტრაგიკულია.

ვაჟა ეგრისელისთვის, როგორც ყველა მოკვდავი  
ადამიანისთვის, უცხო არ არის დარდი და სიხარუ-  
ლი, აღტყინება და უსასოობა, იმედი და უიმედობა  
და მისთანები... ამიტომაც მის ლირიკულ განცდას  
ყოველთვის სდევს შუქჩრდილები, სხვადასხვა ფერ-  
თა გამა, კონტრასტული განწყობილება, რაც სავსე-  
ბით ბუნებრივია, მაგრამ ამასთანავე უნდა ითქვას,  
პოეტის ლირიკული გმირი იმედოვნებს, რომ ქვეგამ-  
ხედვარობით, ფლიდობით, ფარისევლობით, გაიძვე-  
რობით, დალატობით შემწიკელული ქართველი ხალ-  
ხი გამოფხიზლდება, კეთილგონივრულად აწონ-და-  
წონის ყოველივეს და აუცილებლად იზეიმებს გამარ-  
ჯვება:



\*

„სადღაც მომავლის ხარობს ჯეჯილი  
და გესმის მისი  
ჩუმი შრიალი,  
თუმც წარსულითაც შენ ხარ მდიდარი,  
ჩემი სიცოცხლე გიდგას თავდებად,  
რომ შენს თვალებში გამოიდარებას —  
მამულო ჩემო!  
შენი ყანაც დათავთავდება“.

მკითხველების გრძნობას და გონებაზე სიტყვა-  
კაზმული ლიტერატურის კეთილსასურველ ზემოქმე-  
დებას გულისხმობდა აკაკი წერეთელი, რომელმაც  
ღრმად გააზრებულად ოქვა: ლიტერატურა ხალხის-  
თვის სიკეთები გადამყვანი ხიდია და ფონი, მიუხე-  
დავად განსაცდელიანი ვითარებისა;

პოეტი ხალხის შთაგონებაა, რომ გული არ გაი-  
ტეხონ, რადგანაც „გატეხილი გული ლაყე კვერცხის  
ნაჭუჭია, მთელი კი ფოლადის საგანძურიო“.

ყველა პატრიოტი ქართველი გაიზიარებს ვაჟა  
ეგრისელის ლირიკული გმირის აღმაფრთოვანებელ  
და გამამხნევებელ სურვილ-მისწრაფებას:

\*

„ბნელ ქსელში ახვევს დამის ობობა —  
ათას ჭირ-ვარამ გამოვლილ ჩემს გულს.



მწამს მელის უდაბნო და უღრანი...

ეს, საქართველოვ,  
შენი ტრფობის უდელში შებმულს,  
დე, მარად მტკიოდეს ქედი-ნაულლარი“.

ვაჟა ეგრისელის ლირიკული გმირი გვასწავლის, რომ აუცილებელია ხალხის ნათელი მომავლისათვის კეთილსინდისიერი თაოსნობა, ერთმანეთის მიმართ კეთილშობილური თანაგრძნობა, „ურთიერთმეგობრული კავშირით თანამოქმედება, მამულიშვილურ მისწრაფებათა თანხვდენილობა. ეს ნიშნავს იმას, რომ ვაჟა ეგრისელი მტკიცედ ახორციელებს წმიდათაწმიდა ამოცანას (განაწესს). „ეს ფრთაშესხმული საკუთარი თაოსნობა, ეს ერთმანეთისთვის გულისტკივილი. ეს ფეხადგმული თვითმოქმედებითი ძალის ენერგია, რომელმაც უნდა ამოხეთქოს ქოველივე, რაც სანატრელია. ეს ნერგი დარგულია ჩვენში ჩვენის ყმაწვილკაცობის ხელით წარსულში და მომავლის დროების მოღვაწეთა იგი უნდა პრწყან თავის მხერვალე ოფლითა. წარსულმა ეს უანდერძა მომავალს ეს ლარი გაუბა მზის საჩვენებლად“.

მომხიბლავია ვაჟა ეგრისელის ლექსი, რომელიც მიძღვნილია ხალხის საყვარელი მომღერლის — რემა შელეგიასადმი.



\*

„აქეთ მთებია და იქით ველებია,  
შუა ქოხებია —  
კვამლით გამურული.  
მიდის...მიიმდერის რემა შელეგია,  
ნაურმალივით მისდევს „ურმული“.  
„მადო ჩქიმი არაბა“ — უამთა საბუსკნავი,  
„აშო ჩელათი დო ვიშო ბუსკათი“.

აკაკი მრავლისმეტყველად წერდა: სიმღერა  
არის ხალხის ნაგრძნობისა და ნაფიქრის, თავგადა-  
სავლის გამოხატვა“. ლექსი, რომელიც ხალხისთვის  
კეთილსინდისიერად ნაშრომ-ნაჭირნახულევის ნაღვა-  
წის პატივისცემას და სიყვარულს გამოხატავს მკით-  
ხველებს მოაგონებს განსაცდელიან ქარტეხილებს,  
რომლებიც ბობოქრობდა მრავალტანჯულ საქართვე-  
ლოში.

ზოგჯერ კაეშნის, სევდა-მწუხარების, ზოგჯერ  
აღფრთვანების მომნიჭებელია ვაჟა ეგრისელის  
ლექსები, სწორედ ამის გამო პოეტი დამაფიქრებლად  
წერს:

\*

„მხოლოდ და მხოლოდ ჩემს წიგნში ნახავთ,  
გჯეროდეთ,  
ვედარ იპოვით სხვასთან,



ამდენ სიხარულს, ამდენ სევდას, სვეტებს და  
თაღებს,

მთებს და მწვერვალებს...

ციხე-კოშკებს...

დაჭმუჭნილ ზღვას და

მეფე ერეკლეს სიგელივით

დაგრაგნილ ტალღებს“.

ერუანტელისმომგერელია მეტაფორები: „დაჭმუჭნილ ზღვას და მეფე ერეკლეს სიგელივით დაგრაგნილ ტალღებს“. სანიმუშოა ვაჟა ეგრისელის პოეტური წარმოსახვის უნარი. წმიდათაწმიდა ლირიკული გმირის ნაფიქრ-ნააზრევის წარუვალი მნიშვნელობა პატრიოტული გრძნობის გასავითარებლად და განსამტკიცებლად.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ვაჟა ეგრისელს ერთი განსაკუთრებული თვისება აქვს. ის ნათელმხილველის ნიჭითაც არის დაჯილდოებული. ის ცხადად ჭვრეტს ერისა და ქვეყნის მომავალს, ადამიანთა ხვედრს. ამიტომაც მისი პოეტური სიტყვა მისტიკური ხილვის შედეგიც არის და მომავლის განჭვრეტის უნარის მატარებელიც. „კოლხური ფსალმუნებისა“ და „იქმენ ნათელის“ ფერადოვან ქსოვილში ვაჟა ეგრისელის პოეტური მედიტაციები საოცარი ძალისხმევით გვამცნობენ ჩვენი სანუკვარი საქართველოს ტრაგიკულ წარსულსა და მის ჭეშმარიტად



თანამედროვე ცხოვრებისა თუ მომავლის უმნიშვნელოვანეს კონცეპტუალურ საზრისს.

და მაინც, მეტად რთულია და იდუმალი ბატონი ვაჟა ეგრისელის პოეტური (არსენალის) სამყაროს, მასში დატრიალებული ფიქრებისა და აზრების, განცდა-გრძნობების, განწყობილებების, ვალდებულებებისა და მისამართების, ზუსტი მეცნიერული ანალიზი და წაკითხვა. აქაა ის აბსოლუტური სრულყოფილებით აღბეჭდილი სულიერი დირექტულებები, რომლებიც საოცარი ძალით გვიჩვენება, გვიზიდავენ და გვიხმობენ ამოსაცნობად.

პოეტს უსაშველოდ სტკივა თავისი ერის ხილული და უხილავი სატკივარი; მის სიცოცხლეს ერის ზნეობრივი, გონებრივი და სულიერი შინაარსი განსაზღვრავს.

ვაჟა ეგრისელის მომხიბლავ ლექსში გამოხატულია ქართველთა მტკიცე რწმენა და გულგაუბექხლობის მშვენიერი ხოტბა:

\*

„ყველგან გვდევდა ბედისწერა,  
ცრემლი იყო  
გზა ყოვლისა.

ქრისტე...

რჯული...

მზე და ენა...



გვემა...

ცეცხლი სარჯებისა;  
მით გადავრჩიო,  
რომ ჩვენს რწმენას:  
„სილბო პქონდა ნაქსოვისა  
და სიმტკიცე  
ნაჭედისა“.

ამ ლექსის შესახებ პროფესორი ჯოდორ დადიანი წერდა: „ეს ლექსი ჯადონაქნარია, რადგანაც იშვიათია ისეთი ლირიკული ნაწარმოები, სადაც ასე შთაგონებულად დახატულია ქართველი ხალხის ფათერაკიანობა, ავბედითობა, ტრაგიკულობა, სულხარბი და გულბოროტი მტრების მიერ ჩვენი წინაპრების ხოცვა-!ლეტა და საბოლოოდ მაინც გადარჩენა. პოეტს სავსებით სწორად, ქართველი ხალხის გამარჯვების საწინდრად, წყაროდ, საფუძვლად მიაჩნია ის, რომ მის რწმენას „სილბო პქონდა ნაქსოვისა და სიმტკიცე ნაჭედისა“.

მაღალი პოეტური ნიჭის, ხალხისთვის თავდადებული მამულიშვილის ქებათა ქებაა „ლექსის კაცი“.

\*

„თავსასთუმალთან —

„ვეფხის წიგნი“ ესვენა ხატად,



ამბავი,  
ამბავს მიჰყვებოდა  
ცრემლთა  
მთხეველი,  
ნათელმა ბაგშვიმა იგრძნო გრძნეულ  
სტრიქონზე ჯვარცმა  
და ლოცვად დადგა  
ქართულ სიტყვის  
საკუროთხეველთან,  
მერე ამაღლდა, —  
იქცა ღმერთად...  
და ლექსის კაცად“.

აქ გულწრფელი სიყვარულით, განსაკუთრებული  
პატივისცემის გრძნობით ხოტბაშესხმულია ქართვე-  
ლების მარადებამს წარუგალი ხატი — „ვეფხისტყაო-  
სანი“ და მისი სულმნათი ავტორი შოთა რუსთაველი  
— ჩვენი ხალხის ნუგეშ-დიდება.

ასეთი ლექსებით ვაჟა ეგრისელმა გრძნობა-გო-  
ნება აუმაღლა, სული გაუფაქიზა თანამემამულეებს.  
ვაჟა ეგრისელის ლირიკული ნაწარმოებები მტკიცედ  
გვარწმუნებს, რომ ქართველ ხალხს პყავს მუხანათი,  
გარეწარი, მოღალატე შვილებიც და კეთილი, დიდ-  
ბუნებოვანი პატრიოტებიც. ნიშანდობლივია ის, რომ  
პოეტი იმედოვნებს საქართველო მომავალშიც ჭეშმა-  
რიც მამულიშვილებს გამოზრდის და დაავაშქაცებს.



აქ „უნგბურად გაგვახსენდება დიდი აკაკი წერეთ-ლის ცნობილი სტროფები:

„სატრფოვ, ნუ გეშინია! თუმცა გაქვს გრძნობა მიხდილი,  
მაგრამ მაინც შორს არის კიდევ შენგან სიკვდილი.  
მართალია, შვილებმა გიღალატეს, გაგწირეს,  
პირად ანგარიშებით სხვის თვალში დაგამცირეს,  
მაგრამ ნუ გეშინია (კრიჭოს მტერმა კბილები!)  
მკურნალად გეზრდებიან შენივ შვილიშვილები.  
მათ მაქების ნაღველ-შხამს წამლად გადააქცევენ  
და გულის წმიდით ნაშრომის ცრემლსა და ოფლს აქცევენ.  
სიკვდილს გადაგარჩენენ, მწამს და ვაღიარებ.  
და თუ აქ ვერ მოვესწარ, საფლავში გავიხარებ.  
სატრფოვ, გულს ნუ გაიტებ, არ ხარ სასიკვდილო  
და მოგველის ისევ ბედი საშვილიშვილო!“

ეს მოსაზრება, რომელიც აკაკიმ ერთი ჰეშმარი-ტი მამულიშვილის შესახებ თქვა, შეიძლება თამამად და დამსახურებულად გამოვიყენოთ დიდი პოეტის დასახასიათებლადაც. სასიამოვნოა და აღმაფრთვა-ნებელი ის, რომ ვაჟა ეგრისელი გულდაუდრეკლად და კეთილსინდისიერად ასრულებს ბრძენი წინაპრის კეთილგონივრულ განაწესს.

ვაჟა ეგრისელი ელოლიაგება და ეფერება დაჭ-რილ საქართველოს. მთელი არსებით ცდილობს მი-სი იარების განკურნებას, პოეტის ფანტაზია უნაპი-როა. მისი მხატვრული წარმოსახვის თვალი მხო-ლოდ საქართველოს უმზერს. პოეტის მიზანია, სა-



ქართველოს წყლულები ია-იების ფოთლებით მოურ-  
ჩინოს, ან სანთლად დაიღვენოს, ან კი ცად ავიდეს  
და წვიმის წევთებად დაეპკუროს. პოეტს საქართვე-  
ლო მატებს ძალას და მხნეობას, რამეთუ თავად პო-  
ეტი ვაჟა-ფშაველას სისხლის წვეთია:

\*

„სად რუსთაველი შობილა,  
ის მიწა —  
ჩემთვის ღმერთია —  
ძალას მატებს, ვით  
ანტეოს.  
მე ვაჟას სისხლის წვეთი ვარ  
და ნურვინ განმაცალკევოს“.

აქ მოხმობილი ლექსის თითოეული ბრწყარი სა-  
ხისმეტყველების ბუნებრივი ფერებითაა ნასაზრდოე-  
ბი. იშვიათად შემსვედრია პატრიოტული ლირიკის  
ასეთი ნიმუში, რომელიც ესოდენ დამაჯერებლობითა  
და გულწრფელობით ყოფილიყოს გაჯერებული. ვაჟა  
ეგრისელის პოეზიაში მთავარია გრძნობათა სიღრმე  
და ამ გრძნობებისა და განცდების წარმოსახვის  
მხატვრული ქსოვილი.

შთამბეჭდავი იდეაა ჩაქარგული ვაჟა ეგრისელის  
ლექსში, რომლის სათაურია „ამირანმა გამოჭედა“:



\*

„სამყაროს რომ სითბოდ უვლის  
მზე –  
უქრობი ცეცხლის გული,  
კაცო-იმედად  
ეშმაკო ელდად,  
სალიბური ფოლადისგან –  
ამირანმა გამოჭედა!“

ლირიკული ნაწარმოების ნუგეშმცემელი სტრი-  
ქონები გვარწმუნებს, რომ ჭეშმარიტი მამულიშვი-  
ლის სასიქაღულო ნიშან-თვისება იმედოვნებაა და  
მძიმე დღეებშიც კი იმედგაუქრობლად ლვაწლმოსი-  
ლობა. პოეტი ოპტიმისტურად განწყობილი მამულიშ-  
ვილია. ყველა კაცური კაცისათვის იმედი ლვთითმი-  
მადლებულია.

ვაჟა ეგრისელის ოპტიმისტური ნაწარმოებების  
წაკითხვა რემინესცენციის კანონით გაგვახსენებს  
მწვანე შტოს, რომელიც სასოების, იმედის სიმბო-  
ლოა. ადამიანს ხომ ჩვეულებრივ უყვარს სიცოცხლე-  
უყვარს ისე, რომ არც კი წარმოუდგენია მისი დასას-  
რული. და აი ჩვენს მარადიულ სწრაფვას სიცოც-  
ხლისაკენ გადმოგვცემს პოეტის ერთ-ერთი ლექსი,  
რომელშიც დიადი ოპტიმიზმის მარად უქრობი შუქი  
გამოკრთის:



\*

„დააბრმავებდა ნახევარ მილეთს,  
რაც საქართველომ  
ომები ნახა,  
ქართული ცისთვის მოუხდია  
დუშმანსაც ქუდი,  
მოწმეა ღმერთი,  
არ გვქონია  
წარსული გლახა,  
არც მომავალი გვექნება ცუდი“.

პოეტი თითქოს გაიტაცა წმინდა ქსოვტიკურმა  
ბუნების კანონზომიერებამ, სიცოცხლის ამაღლე-  
ბულმა მშვენიერებამ:

\*

„უკანა კარიდან გავიდა სიცოცხლე,  
და ისე წავიდა.  
მაინც ვარ მე  
მისი ერთგული.  
მზე და მთვარე კი არ მტოვებს წამითაც,  
გითარცა ტალა და ებგური“.

პოეტი თავის ლირიკულ ქმნილებებში თვალს  
წარსულისაკენ მიაცყრობს და მისთვის სასურველი  
ფაქტებისა თუ მოღვაწეობის წინ წამოწევით დიადი  
ოპტიმიზმით დაიმედებული წერს:



\*

„სანამ ისმის რუსთაველის —  
გეფხის წიგნში  
ლომთა ბრდლვინგა,  
დე,  
გაიგოს მტერ-მოყვარემ  
ვინ ვიყავით...  
დღესაც ვინ ვართ,  
დე,  
იცოდნენ, რომ სამგლეთი,  
კვლავ არსებობს ამა სოფლად,  
დრო მოვა და...  
მგლებს ალგეთის,  
ერთ ლუქმადაც არ ეყოფათ!“

### ციალა მასხია

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი, აფხაზეთის მეცნიერებათა  
აკადემიის აკადემიკოსი.

ნაწყვეტი წიგნიდან — ხახჩაული და ფანტაზია  
(ფიქრები ვაჟა ეგრისელის პოეზიაზე)

გაგრძელება შემდეგ ტომში



## ედელვაისი

დარეკა ქამმა, –  
შეეპარათ ქედებს ჭაღარა  
დღეებმა თავი  
საკუთარი  
აღარ დაინდეს...  
ცამ მოიწყინა... და წაერთვათ,  
მინდვრებს ხალისი,  
მთებამა კი ღამით აჯანყებულ  
მკერდზე დაინთეს  
თოვლი და... თეთრი ედელვაისი..

1989

\* \* \*

არ ვხედავ,  
 მაგრამ ჩემი სიყრძე ვიცი,  
     თან დამდევს,  
 არ ვისმენ,  
 მაგრამ  
 სიყვარულის გუბუნებს ოხვრა,  
     ვხედავ ტყუპისცალს –  
     ტირილს და სიცილს;  
 ვხედავ ფიქრიდან  
     ჩემს სიბერეს  
     მთლად წელში მოხრილს,  
 ოომელიც ძელქვის მაღალ ჯირკვზე  
     ზის და კვლავ მიცდის.

1981

\* \* \*

ზღვა ისევ ბორგავს –

ქარიშხალის

ჯვარზე გაკრული.

ჩუმი ბდავილით მშობლიურ მთიდან

მოიზლაზნება მდინარეთა გამხდარი ჯოგი,

გავცქერი დელვას...

და მე დელვის ნელ ცეცხლზე ვთბები.

აფროდიტემ კვლავ

გაშალა თმები

და აპა, უცებ დაღამდა სივრცე.



Digitized by srujanika@gmail.com

დღისით და დამით კორგნიდნენ სიკრცეს  
და ზღვის წუხილი დადგეს  
ზვინებად  
დავიდარაბით, ცრემლით და შფოთით,  
მერე ჩამოსხდნენ ჩიტებივით  
სველი წვიმები  
და ჩამოტეხეს ცისარტყელის  
ფერადი ტოტი.

1983



## ჩემი აღზრა

სიცივის ხელით

ცამ მიწაზე დაამყნო თოვლი,

სიმყუდროვე და სითეთრე ჰყვავის.

და ზამთრის წუხილს თუ გადურჩა,

სილურჯეს გაფენს ია და ბალბა.

და კართან მდგარი

მოჩიტული

ჩემი აღზრა –

გულამდე ჩაჭრილს ჩაიცვამს კაბას.

1958



\* \* \*

დაცლილ ყანწს პგავს  
 მდინარეთა ნაკვალევი  
 არ სჩანს მთვარე,  
 არცა მთელი არც ნალევი.  
 შორს, მთებს მიღმა ურთად და დარჩენილია.  
 და შავი ზღვა, ვით ფიალა დასალევი,  
 თვითონ ზღვის ღმერთს, –  
 პოსეიდონს დარჩენია.

1958



\* \* \*

აპა, ეს ღამეც,  
მარადისი, ღელვას მინებდა,  
სიჩუმის ფსკერზე კრთიან ვარსკვლავნი –  
ჩემი კოლხური ღამის ფესვები.  
ფაზისის პირას ლეგენდების იწვის ზვინები  
და მე სიშორით...  
და სინათლით  
თვალი მეგსება.

1961



\* \* \*

პონტოს ნაპირას –  
 ლეგენდების  
 მზიან ბუდეში –  
 ჩემი კოლხეთის ზის ისე, ვით  
 უცხო ფრინველი  
 და ჩეკს სიყვარულს...  
 აღტაცებას და მოკრძალებას...  
 ხოგჯერ, ო, ხოგჯერ,  
 ავბედითი ცეცხლი იალებს,  
 და ცეცხლში მესმის  
 გე  
 გრძნეული ამორძალების  
 შუბთა შხუილი, ყიჟინა და  
 ფართა ურიალი.

1975

## შიგის მამალი

ომების კვამლით გადახურულ  
ასწლეულების

ხეივნის ჩრდილქვეშ –  
რა უდარდელად ჩასძინებია  
გლეხეაცს ჯალაბით,  
სარდალს ამალით,  
და ჟამს ციხკრისას,  
დაღლილები რომ გააღვიძოს, –  
მილიონი წლის უღრანიდან ყივის მამალი..

1979



\* \* \*

გამოიღვიძებს უდაბნოს ქარი  
და ფრთებით დაფშვნის  
ბრინჯაოს კლდეებს,  
რომ ფიქრთა ქროლვას  
მეტი მზე და  
ნათელი მისცეს.  
კოლხური დამის ბუნაგიდან  
გამოვა მთვარე  
და კვლავ იდარდებს  
ვარსკვლავებით დაცხრილულ სივრცეს.

1970



\* \* \*

დღისით და დამით აღარ ისვენებს,  
ხეს სიცოცხლისას  
მწუხარების უსვამს შალაშინს  
გარდაუგალის გარდაუგლობა.  
და მაინც სადღაც,  
სიყვარულის ისმის გაღობა  
დარდით გაფოთლილ დამის ჭალაში.

1966



## ბალახის ფოთლები

ნუთუ დამეა და მე და შენ  
მარტოკა დავრჩით  
უოლტ უიტმენი

ახლა დამეა და მე და შენ მარტოკა დავრჩით,  
ჩაგცექერი ისე, ვით მდინარეს

დაღლილი წერო,  
და ჩვენ თანდათან გხდებით მოყვრები.  
დიდი ხნის მერე ჭმუნვით ამბობ ვითარცა  
ჰერმეს:

„აწი ვეწვევი ზეციურ სფეროს,  
დრო მოვა, ყველა თან გამომყვებით“.

ახლა დამეა...  
შენი სუნთქვა მიჭირავს ხელში

და თეთრ საწოლზე  
და ფიქრებზე გულალმა ვწევარ.  
ახლა დამეა,  
მომწყვდეული წიგნში ზღვა ხვევის,  
ისმის ანძების ჭრიალი და ტალღების  
რწევა...

1971

\* \* \*

თითქოს კართან მდგარ ალვის ხეზე  
დაამყნეს მოვარე, –  
ფეხს აღარ იცვლის  
და დილამდე მიჭვრეტს საამოდ...



## ଶରୀ

ଜୀବନଗୁରୁଟ କେବଳକେବଳ ପିଲାପିଲା  
 ସାହୁକୁଣ୍ଡରୀରେ...  
 ଅମ୍ବଦଶି ଦେବରେ ପିଲା ମନ୍ଦିରକଳେ,  
 ଦେବରମା ପିଲାପିଲା  
 ଫା ମଧ୍ୟରତା ହଜାରତା ମହିରା ମନୀଶରା.  
 ଫା ଆଲା ପିଲାକ କ୍ଷେତ୍ରକଳେ ରମ  
 ଶୁରୁ ମିଳିପିଲା  
 ଶୁରୁ ଯା ଆରା,  
 ଶୁଲୋ ଆରିଲ ମହିଳାକଳେରା.

1970



## ტანისოფელი

ქალაქს წასული ცოტა ხნის უკან,  
დავბრუნდი სოფლად მხიარული  
და მიხარია,  
ვუხმობ მეზობლებს: –  
იგანე,  
ლუკა,  
ძალა,  
გაგია და კესარია  
სად ხართ!..  
?!...  
ქვითინებს უპატრონო ეზო და შუკა: –  
აქ იყვნენ...  
ახლა აღარ არიან...

1968

## ბებრის ცოხა

აწმყოს და წარსულს დაბჯენია,  
 როგორც ყავარჯნებს,  
 დაღამებია თვალები  
 ორბის  
 და ბრძა თვალებით გზას  
 გაჰყურებს...  
 თუმც არვის ელის  
 გამხმარი სურო მის მკერდზე  
 მოჰვავს  
 ნაწერს ძველთაძველს  
 გაპრული ხელით.

1971



## რიონის პირას

დამურას ფრთიდან  
გამოფრინდა ყირმიზა ბინდი  
და ორშაბათის შესახვედრად  
წავიდა კვირა  
და ხმის გამცემი არავინ  
არ ჩანს.  
მხოლოდ შორს სადღაც,  
რიონის პირას –  
პკლავ ერთადერთი ანთია ყანჩა.

1978



ବ୍ୟକ୍ତିଗତ

ენთება... ქრება...

მოკვდავების ბეჭის გარსეპლავი,  
ომები...

333b3o..

ქვა არ რჩება მარადის ქვაზე...  
დედამიწას კი ლვიძლ დედასავით  
თოთო სიცოცხლე  
შეუსვამს მხარზე  
და გზას მიჰყება მარადისობის.

1978



## ნაციხარი

ცა იღრუბლება ჩემი წუხილით,  
ვზიგარ ციკ ქვაზე  
და არავის არ ველოდები,  
არც მეციხოვნეს, აღარც ლაშქარს,  
და არც ქვით-ხუროს.  
მე ახლა მხოლოდ  
მომხდეურისგან  
ნატყორცნ ლოდებით –  
ქართლის ავბედით წარსულს ვკითხულობ.

1969

## ଧୀର୍ଜନ

ଫୁଲେଟ ହାତାରି  
ଫାନ୍ଦେଲେଖିବିଲେ ତେତରି ମେଦରେଖିବିଲେ  
ମୋହିଦା ଶୁଭେ ଓ ଲାଭାରଣ୍ଠେ  
କୁଳାଗ ହାତକୁଳିଦା  
ଫାମାକୁଳି ଶୁଭେଖିବିଲେ ବରଫୁଲିନ୍ଦା.  
ମେରେ ଚିକରିସାର  
ଆରାରା ଲେଖେ  
କୁଟା ଫ୍ୟାଲିଗିତ ଦାଲିବା ଯିନ୍ଦାମ.

1974



\* \* \*

მამლის ყივილით იბზარება დამის კედელი  
და პა,

საცაა ჩამომექცევა...  
წახველ...

მომწყურდი!  
და სიშორეს გზები გმინავენ...

მოგონებები –  
წეროებივით  
ყელგაწვდილები – მოგყივიან...  
და მოფრინავენ.

1971



## ପରିଚୟାବଳୀ

ଶ୍ରୀଲଙ୍କାମିସାସ ଫାମରାଫଗେବା ଲୋନ୍ଦୋ

ସାମାଜି

ନାରୋମାର ଗ୍ରେଲ୍ଲିଂ

ରା ରାଜାମଦିଗ୍ରେ ରାଜାରାଜେବା...

ରା କ୍ରିଶ୍ଚାରିଯିତ ଅଶ୍ଵାନ ନାଥମଲ୍ଲେବ ସାହେବ  
ତଥିଲୋବିଲେ.

ରାଜେଶାଳେ ଅଭ୍ୟାସିନୀ ପରିଚୟାବଳୀ, ରାଜାରାଜେବ  
ପ୍ରେସ୍‌ରେ ରାଜେଶାଳେ ଅଭ୍ୟାସିନୀ

1966



## შეცარი შეღამება

შიშველი ელგით და სიმყუდროვით –  
ფერმკრთალი სივრცე  
წუხს განგმირული  
და ცრის სიჩუმეს ბნელში  
მდგრიე ცა...  
ცოტათი ადრე,  
ჩემთან ერთად თვალი მილულა  
დღემ... და  
ხვალისთვის ფიქრებს მიეცა.

1965



## საზგუდენი

სარკოფაგიდან წამომდგარან  
საუკუნენი  
ცივი სიჩუმის ზარით  
და ბუკით,  
და დაგიწყების ქონგურებზე დააბიჯებენ.  
მეციხოვნეებს უყივიან...  
და უკვირთ, უკვირთ,  
რომ აღარ სჩანან  
ციხისმცველი კარგი ბიჭები.

1971



## სათაფლია

გაღვიძებ მძინარ ათასწლეულებს –  
ლეგენდები რომ  
უდევთ სასოფლად.

სათაფლია კი  
სიცხადეში წვეთავს თაფლივით.  
ღამე ბნელს მოსოქვამს ზარით –  
მოზარის.

და პა, ცისკრისას,  
სტრიქონებში შემოვიტყუე  
გეება ხსოვნა დინოზავრების.

1973



## ტყის იღილია

მიმწერის პირზე

ადარ ისმის ხეთა გალობა,  
ვით სამლოცველო ტყე დამხობილა,  
აღარსად ბრწყინავს მარის ვარსკვლავად  
კურკანტელების მწიფე კუმპალი.  
და სულთმობრძავი ნაკადულის  
ციცქა საფლავთან  
ვდგავარ, ვითარცა გულდამწვარი  
ჭირისუფალი.

1974



## პრაგვისპირას

ცა ხამუშ-ხამუშ ზამთარს იცოხნის,  
წუხან ხევები  
ქარებისგან გადაბელილი  
კისერზე დაღგმულ ზვავების უღელს,  
არაგვისპირას გაწოლილა მთა  
ძე მგელივით  
და ბარს მშიერი  
თოვლის თეთრი  
კბილებით უღრენს.

1976



## ଥୋନା ଲୋକଗୀତ

ମିଠା ଲମ୍ବରତିଆ  
ମୋଖୁଚି ଲା ଗାୟକାରସାଗୀ  
ହଜେନ୍ଦ୍ର ଦିଲ ଅବେଳେବେଳେ  
ଅକ୍ଷାନ୍ତ ରନ୍ଧର ଶୁଣ୍ଠିବେ,  
ଗାହିନୀ ଫଲିଲାନ ମତିରାଲ ପା,  
ମତିରାଲ ଯମାସାଗିତ  
ଭର୍ତ୍ତାବଲେବୀର ହଜରେବାହି ଶେଖେଶୁଲୀ  
ପାଲତାଶ ଶୁଣ୍ଠିବେ

1968



## მზე

ამქენებიური სიაგპარგე.  
სიკვდილ-სიცოცხლე  
აღმოსავლიდან დასავლით  
ზიდა  
და ჩაიძირა სიჩუმეში  
იგი დღის დამლევს,  
განთიამდე ნელ-ნელა,  
ხომალდივით ამოაქვთ ზღვიდან  
უივილის გრძელი თოკებით  
მამლებს.

1971



\* \* \*

შენდობას ვითხოვ,  
 თუ შემშლია ალილუია,  
 თუ ზოგჯერ ლოცვის თეთრ უღელში  
     ვარ შესაბმელი  
 და მოსვლის დღიდან, შენს სახებას  
     ჩემად რომ ვხატავ,  
 თავზე თუ მხურავს შენეული ეს  
     კრეტსაბმელი,  
 შენი ბრალია,  
 რად შემქმენი, დმერთო, შენს ხატად.

1974



\* \* \*

ზიხარ მოწყენის შიშველ ნაპირთან,  
ალბატროსივით ფრთებს შლის ფიქრბი  
და მიფრინავენ მაღლა,

სულ მაღლა...

ირგვლივ ყოველი იდუმალი  
ხმებით მოცულა.

„თუ ჩემი ნავი აღელვებს ტალღას,  
მაგ ნაპირისკენ  
არ გამოვცურავ“.

1967



## 0სეპ

ისეგ ციმციმებ ლურჯი სანთური –  
სიკეთის,  
მადლის,  
სიყვარულის და  
სიძულვილის,  
ისეგ გრძელდება საწუთოს და  
ბედის ტრიალი.  
და ფრთამოტეხილ, ყანჩასავით –  
ჩემი სურვილი  
ცას გაჰყურებს და...  
ისეგ წრიალებს.

1971



## მოთხვეა

ჩემს იმედიან გზებს  
და ბილიკებს  
უიმედობის შავ გორგალზე ისევ ართავენ –  
ფარისეველნი...  
და პირმოთნენი...  
და მსურს ვიყვირო:  
არც ღმერთია?!  
არც სამართალი?!  
მაგრამ, მოდის და თითებს ტუჩზე  
მაღებს – მოთმენა.

1964



## მეზე დაგითი

თვალებში

ქართლის წარსულს ჩავცერი;  
 მესმის ყიუინა,  
 გმინვა, გნიასი,  
 კით საზღაურის მტრისთვის მიგება.  
 სიკვდილ-სიცოცხლის პარმონიაში  
 ხმალი საბრძოლოდ  
 ელვასავით მიიდრიკება.  
 დიდგორის მკერდზე სისხლთა მნთხეველი,  
 ქართველები კვლავ დგანან პირველნი,  
 და საქართველო –  
 მათი წმინდა საქურთხეველი,  
 საგსეა თავით, – შესაწირველით.  
 დაღლილი მოები დგანან უძრავად,  
 დამით ტანჯული მოლოდინი  
 წამებს დაითვლის,  
 და... აჰა! ბნელში, ქართვლის  
 მტერთა შესამუსრავად,  
 მოდის სიკვდილი! – მეფე დავითი..

1979

\* \* \*

პვლავ კვალში მიდგას, რქები აქვს ვერძის  
და ტახის ქშვი,  
და... მოსვლის დღიდან მეძებს და მეძებს  
ნადირის გეშით.

1989



\* \* \*

ჰყივის სიცოცხლე...  
და ჩემი ფიქრი,  
პლავ მიუყვება  
ვარსკვლავების  
ყვითელ ქაფენილს  
და გზად აწყდება უკვე მეასედ,  
დამის მიღმიდან გადმონაფრენი:  
მთათა გალობა,  
ზღვათა სევდა,  
მიწის გნიასი.

1984



\* \* \*

უფლი ჩემში განვასხეულე...  
ჩემი სიცოცხლის გაზაფხული  
დღეებს უკვირდა.  
და დამეებიც მოყიოდნენ ვითა მართვენი.  
გარდახდა ჟამი.  
და გავედი სიჭაბუკიდან,  
და აი,  
ახლა,  
სიბერისკენ მივემართები.

1974




## ბეჭის გარსპოლავი

უოფნა-არყოფნის შუა პარალელს  
მუდამ ვავლებდი...  
ხმები, ვით ადრე,

მიიღებიან აღმოსავლეთით.  
მაგრამ, შენ, ჰე!

ბეჭი ხარ, თუ  
ბეჭის ვარსკვლავი,  
დღითიდღე მიხვალ სადღაც, დასავლით.

1979



## ასე მამავა

მოფრინდებიან ოცნებათა ფარშევანგები,  
ფრთებდახუნძლულნი  
იმედების ტკბილი ნაყოფი;  
მაგრამ, ო, ზოგჯერ,  
გაიელვებს ფიქრი უქმური...  
გემუდარები,  
სიკვდილამდე ასე მამყოფე –  
შენი ლამაზი სიყვარულის  
ფრთებს შეუუსული.

1978



## მარე და მონე

(ფრანგი იმპრესიონისტების გამოფენაზე)

ფერთა უდაბნო —

სასოფლაო თავდაგიწყების,  
ქალიშვილები,

პიანინო<sup>1</sup>,

მთვარის მარაო<sup>2</sup>.

შეჩერებულა დრო და ჟამის და არარაობს,  
და ყოველივეს —

აქ ფუნჯი მონებს.

აქაა ყველა მოსაგონარი:

დეგა, პიკასო, რენუარი, მანე და მონე,  
დიდი გოგენი,

პისარო და ბრძენი ბონარი.

1972

---

<sup>1</sup> იგულისხმება რენუარის — „ქალიშვილი პიანინოსთან“.

<sup>2</sup> მონეს — „ქალი მარაოებით“.

\* \* \*

სდუმს ქარიშხალი —

ზღვათა ხიზანი,

მძინარე ფსკერზე მნათობები თვალებს  
ახელენ.

მთვარე ზღვის სიღრმეს ზომავს, მისგან  
ასჯერ გაზომილს.

აღარ ჩანს ზვირთთა უმაღლესი სრა-  
სასახლენი

და აღარც მისი სადარბაზონი.

1974



\* \* \*

ცის უდაბნოში სძინავთ ვარსკვლავებს...  
ღრუბლების ბალახს –

მთვარე არ ძოვს,  
ღამის ჭალაში.

ტალღებსაც სძინავთ ზღვის დიდ მკერდზე  
უხმოდ ჩაკრულებს,  
შენ კი არ გძინავს,  
სიყვარულო,  
და ნეტარებით,  
გულის დირეზე მხოლოდ ერთხელ  
დამიკაპუნე,  
და განიხვნება მოლოდინის ცივი კარები.

1973



## ქათევან ღედოვალი

სისხლიანი პირით უცინიან  
ორლესულები  
შუა გაჩეხილ მტერს და მოძალეს  
და წარსულიდან  
კვლავ მოისმის  
ლოცვა და კნესა:  
„ჩემს საქართველოს აარიდე  
ლახვარ-ბოძალი  
და ისევ ისე მოიდე ჩემსა.“.

1974



\* \* \*

პიტალო კლდეზე –

მეფესთან ვდგავარ,

წარსული ტანში ქრუანტლად მივლის...

გახტანგი არა!

მე მტრის ისრით

ასჯერ ვარ მკვდარი.

– „იყავნ ქალაქი!“ –

ატყვია თბილისს –

გორგასლის ხელმოწერა – მტკვარი.

1969



## ნოსტალგია

აღარ არსებობს შორეული დრო და  
მანძილი,  
მშობლიური მზის სიახლოვით მეწვის  
სხეული,  
ჩემს სიყვარულში  
და ალერსში გახვეული  
ფიქრის აკვანში მიწევს,  
მაგრამ ვეღარ ვაძინებ  
და ყოველ დამე „იავნანას“  
ვუმდერი საქართველოს.

1982

მოსკოვი



## ՑՐԱԿԱՆՈ

ուս օյտ, րոմ մռցոմոյ ջի՞ս –  
 ծյած ովոտ,  
 վոն րոմ լցոնո լալուսցյերո մէջցա,  
 մռցեցո,  
 վամս յորանո Շյմռոցրոնդա տցալծյացոտո,  
 թաթուսո ույ յաջար քոսո  
 գա գամիեացլա:  
 յրուսբյ եար ույ մաճօարո,  
 ևյլ յրտօա, եատյենաց ցոմցիացրոա,  
 պըլացյերո,  
 յըլացյերո ցեացո արո,  
 յըլացյերո...  
 յըլացյերո ևո՞մարոա.

1966

## ღრუბელი

წვიმის ნაწნავებს  
მხრებზე გადიყრის  
ღრუბელი, —  
ზღვის ნაშობი და ნაშიერი.  
მერე შედგება ქარის მაღალ  
მაშიებზე  
და ზღვისკენ მიდის  
მაშიებით.

1982



## სამიზნე

შემოხაზული ლამახ წრეებად,  
ჩვენი ცხოვრება –  
შიშხე მიკრულ  
მოჰვავს სამიზნეს  
და მე ყოველთვის „ცხრიანს“ არა,  
„ათიანს“ გზვერავ.  
და როცა მიზანს  
ჩავდებ ჩემი გულის  
ლულაში,  
მაშინ შენს თვალებს –  
სამიზნესკენ  
გაურბის მზერა.

1975



\* \* \*

აღმოსავლეთით ფრთებს შლის ციხკარი,  
„ქართლის ცხოვრება“ –

წარსულს მიღამპრებს.

მთვარე ჰკიდია სიშორეში ვით ბუმერანგი,  
და კოლხურ ღამეს,  
ბრძოლით დაღლილ, ვით ჩემს

წინაპარს,

ტანზე აცვია ვარსკვლავების  
ჯაჭვის პერანგი.

1959



\* \* \*

ადრე თუ გვიან,  
 მოულოდნელად!  
 დამეულ ბინდით  
 შევიბურები,  
 და მთებს როდესაც ჩაესმებათ  
 პონტოს ბლაფილი,  
 მკვდრეთით აღვდგები  
 და სიყვარულით  
 ჩემი თბილისის ხმაურიან ქუჩებს  
 დავივლი,  
 სიმყუდროვიდან გამოპარული.

1978



## გაზაფხულის ჭვიშა

კითხულობს ღმერთი

ცის და მიწის წიგნს,

ო, რამდენი აქვს

მოსაგონარი...

ხან ატირდება...

ღირსსახსოვარ დღეს ჩაინიშნავს

ცისარტყელას

ფერად ზონარით.

1978



\* \* \*

დამფუტხალ ქორივით  
 გაფრინდა ქარი,  
 მინავლდა,  
 მოწყდა,  
 მოყაყანე ტალღების ჩქამი  
 და წითლად სახეაფაკლული,  
 ბავშვივით მორცხვი –  
 მზე ჩადის ზღვაში...  
 და დღე და ღამე  
 იყრება, როგორც  
 სული და ხორცი.

1978



\* \* \*

ცეცხლის ალყაში გამომწყვდეულებს  
მტერი ყიფინით ირგვლივ  
უვლიდა,  
ისმოდა კრულვა, აბჯარასხმულ ქართველთ  
დედების...  
და აი ახლა,  
ციხე-კოშკთა სათოფურიდან,  
მოისმის ხმები თქმულებების და  
ლეგენდების.

1979



## ასპილის გუნდი

კერიის სული ღმუის ნაცარში  
 და ელანდება  
 მუგუზლების  
 თვალის ბრიალი,  
 ალის ყელები ერთმანეთზე გადანასკვლი,  
 და ჰა, ღამესაც სიმყუდროვის  
 კუზი უჩნდება,  
 მაგრამ, უეცრად კუნძი ასკილის –  
 მაყაშვილივით თაგმოკვეთილი,  
 ცეცხლს წაიტირებს  
 და... მიყუჩდება.

1979



## მორჩილება

სიცოცხლე ნუთუ წვალებად დირდა?

ასე მუდამ;

მოგიხურავ მზის კარს

მწუხრისას

და დაქანცული გავდივარ დროდან,

და მთელი ღამე მთვარეულივით

ძილ-სიზმარეთის

მტვრიან გზაზე დავეხმტები.

1974



\* \* \*

უამს შარბათვით,  
დღეთა ყანწებით  
ვსვამთ და ვსვამთ...  
მაგრამ ვეღარ დავცალეთ,  
სულ ტკბილად რომ ვსვათ, ნებას აღარ  
გვაძლევს ურჩხული.  
რადგან წუთები ცივი ჩურჩულით  
ისევ ცვივა, ვით ქვიშის საათში –  
ქვიშის მარცვალი.

1981



## ჩვენი სული

ბოლო მოედო მომავალი დღეების  
ლოდინს,  
შედედდა ჟამი –  
გახუნებულ დუმილის ზღურბლთან –  
შეუცნობელი და ფერშეცვლილი,  
არ უშინდება ქუხილ ში მდგარ დრუბლების  
სისქეს,  
და... ჩემი სული –  
უქრობ ცეცხლივით,  
ჩემი მამულის შუაკერადან მიიწევს  
ცისკენ.

1962

## ბეჭაშრის თავის ქალა

ოქროს ფაფარში ჩაფრენილი  
წუთისოფელი,  
მტვრიან ხმაურში აღმა-დაღმა დააჭენებდა  
და აი, ახლა,  
(ეხ! რამდენი წელი გავიდა,  
დაუკრეჭია კბილი,  
მწყრალს თუ ბედი კმაყოფილს.)  
სარზე ჩამოცმულ ბედაურის  
თავის ქალიდან  
ცივი ჭიხვინი ისმის არყოფნის

1972



\* \* \*

კანკალებს ღამე  
ისმის ხმები მტვრევის და ნგრევის,  
ისმის ღრიალი  
ტალღა ტალღას  
ებრძვის სხეულით,  
თითქოს ერთმანეთს დარევია  
ათასი დევი,  
ათასი დევი  
ღამის ქვაბში გამომწყვდეული.

1978



ალექსა

## ଓଡ଼ିଆ ମେହରଶଳୀ

ମୁଖୀର ଲାଙ୍ଘାର୍ଥୀ ଲାମ୍ବରାଲ୍ କେଲୁଗୋ  
 ପିତାମହ ସିଦ୍ଧିଗ୍ରେ  
 ଫରତାତା ଫାତକ୍ଷଣିତ  
 କିମ୍ବା ପରିପର୍ବତୀ ଜନ୍ମବାଟୀ.  
 ତାନ ଆଲାଗେ କାରି –  
 ତାନାମନ୍ଦିରାରୀ ମାରାଦ ପରିପର୍ବତୀ;  
 ତାନ ମର୍ମଦେହର କମଳି  
 ମନୀର୍ମଣି ଏବଂ କାରିକାରି.  
 ଯଦୀକେ କିମ୍ବାରୀ ମାଲାଲ୍ ପରିପର୍ବତୀ  
 ମେଘର୍ମଣି  
 ଏବଂ ଶକ୍ତିକାରୀ ପରିପର୍ବତୀ  
 ପରିପର୍ବତୀ ଦୁର୍ବଳି.

1972

## ცისკარი მოვა

ჭოტების კივილს

სივრცეები ეკლად დაისხამს

და გამოიყვანს ძილს

ბურანიდან.

გულს შეათდოლებს ფიქრების ჩქამი

და სიჩუმეში მიმალული

იების კრთომა,

ადრე თუ გვიან უგჰველად

ცისკარი მოვა

და ვარსკვლავებით კვლავ ფხიზლობს

დამე.

1978



## მე დაგიხადე

მზის შესაყრელად მიდიოდა გუნდი  
მთიებთა,

ცის და სინათლის ჩუმი დაღადით.

იდგა სიცოცხლე და სიხარული.

მთვარის ჩქერალში

სივრცეები ხელ-პირს  
იბანდნენ;

როს გამთენის ვარსკვლავების ატყდა

ჟღარუნი,

მე დავიბადე

1974



## შეგონება

გუსხედვართ წუთისოფლის სამსჯავროს,  
სად უმაღლესი —  
დროა მსაჯული,  
ცრემლი და ოხვრა,  
არრა არის  
რა მოსაწონი,  
რომ ერთი სიტყვით კაცმა ინატროს.  
ავაგიზგიზოთ სიკეთის და  
რწმენის კოცონი,  
რომ ბინდისფერი,  
ცრუ სოფელი გავაჩირალდნოთ.


1972



\* \* \*

ଆକଥାରା ଓୟିଲେ ସିମ୍ବୁଦ୍ଧ  
ଲୁହାରାଜତଗାଲା ଲେଖାର,  
ରାଜବାଦ ଲାଙ୍ଘବେଳମା  
ମିଳାବଳାବଳା ଚାଲେ ସାହୁର ଉତ୍ସରିତ  
ଫାଦିଲାକୁରିଲେ ମନ୍ଦରିଲେ ଯାନ୍ତିର  
ସିମ୍ବୁଦ୍ଧାନ୍ତେ ଶୁଭେବା,  
ମାତ୍ରିନ କୁରାମାତ୍ର ଦାକ୍ଷିଣ୍ୟରେ ପୂରି,  
ରାମଜଟ୍ଟୀ, ଶରୀରିତ ଗାନ୍ଧାରାଜକୁଲିଲେ  
ଯେବୋ କଥା ଜୀମାତ.

1979



\* \* \*

გაშმაგდეგბა და აღვირს გაწყვეტს  
ჩემი სურვილი  
და ღრმა სულიდან  
ამოხეთავს ხმა შადრევნებად...  
ღელვის ბუდეში –  
უზრუნველად სხედან  
სად ზღვები  
იქ მიმაფრენენ ჩემი მერნები  
და მათ სიშორეს და სიმაღლეს  
დავესაზღვრები.

1980



## ჩვენი სიცოცხლე

đemgoal...

---

არ მოგის...

და გვინდება გზისკენ ყურება  
და ჩვენ ყოველდღე ნამცეც-ნამცეც  
ჩვენი სიცოცხლე  
მიგვაქვს სიკვდილის დასაპურებლად.

1957



\* \* \*

ცაზე ბრწინავდა შარავანდედი,  
დვთის სადიდებლად აღანთებდა  
    თეთრ სულს ტყემალი,  
პონტოს თვალებში ენთო ხსოვნა –  
    ცბიერ ბერძნების.  
ზფირთები ხტოდნენ ვით ერკემალნი  
და მთები იდგნენ როგორც ვერძები.

1974



\* \* \*

ციხეთა ჩრდილში

ჩამომსხდარან საუკუნენი,  
და დაუხრიათ დაბლა თავები  
და ძველ დიდებას ჩუმად ოხრავენ...  
ხოლო არმაზთან  
მთვარე დამზერს  
ერისთავების  
შურით და მტრობით დაჭმულ ყორდანებს.

1989



## სასაფლაო


პატარა ჩიტი

მიმწუხარს უსტვენს განმარტოებით,  
და სევდიანი ისმის მოტივი,  
აქ განისვენებს მოყვარეც,  
მტერიც.

მოველ....

და ლოდქვეშ იმათ სსოფნას წავეპოტინე  
და ხელში შემრჩა მარტოოდენ  
ლამე და მტკერი.

1970



\* \* \*

ଶେଷେଶେନେହଳିଗ -

ଫଳିସ ଫା ଫାମିସ ଲିବାନ୍ଦାଗେହଥୀ

ଫଳିହୋ ଗରିବାଲିତ

ଫେର ମିଜରିବାନ...

ବେଶ - ବିଚରିବେଳିବାର ଫେର ଫେର ଫେର  
ନାଯାଙ୍ଗୋ.

ଫା ଫାରିଦାଗ ଫରାରିତ ଫରାର ମରିଯୁବିନିଲି

ଫାରିତିଲି ଫରି ଫରି ଫରି

ଫେରି ଫେରି ଫେରି.

1971

\* \* \*

ზღვის მიძინებულ მკერდს რომ შეახებს  
ნიავი ხელებს,  
ტალღა უცებ გაიფურჩქნა,  
კით იასამნის ლურჯი მტევანი  
და მერე ცაში აფრენას ლამობს,  
კითარც ფრინველი,  
რომელიც ლაჟვარდ  
სიმაღლეს ელტვის...  
მთვარეულ გზებით დაიძვრება  
დილა – ნინველი,  
შროშანისა და მარგალიტის უნაზე  
ეტლით.

1968



## ბარათაშვილის აღმართი

თვალსევდიანი უმზერს მთაწმინდას

პოეტის ხსოვნა –

აქ რომ აღმართეს,

პიტალო კლდეზე ადის აღმართი

მგოსნის ბედივით

ციფი და ურჩი.

თოვლს მისდევს ქარი...

მტკვარში ნაგი გდია ქოშივით.

და იქვე ახლოს პატარა ქუჩა

ყინულის ტახტზე წევს გათოშილი.

1972



\* \* \*

ხელდაკრეფილი დგანან ხეები,  
უხმოდ,  
უსიტყვოდ  
უცხადებენ  
სამძიმარს ერთურთს,  
აქრეოლებს ტყესაც, —  
ნამქრალ კერასთან ზის გლეხი და  
გეება ნაჯახს  
რიყის თეთრ ქვაზე  
ლესავს და ლესავს.

1978



## სელეგიზება

იხილეს სისხლის დღესასწაული  
 და დედამიწას  
 ომით ტვინი გამოულაყეს,  
 მაგრამ,  
 ალიგგნენ...  
 გერ უშველათ ცეცხლმა,  
 ომებმა,  
 და გამარჯვების აღტაცება...  
 ნგრევა...  
 დიდება,  
 ვით ამაოთა ამოება.  
 მუნკე წარიღეს სელევკიდებმა.

1981

\* \* \*

უხმო სერობა მეფობს ფრთოსნების  
წუხს მწუხარების საუფლოში ხმა

ქერუბიმთა,  
მკვდართა სულებში ამაყად დგას ბებერი  
ცაცხვი.

ხან მეტეორი გაუფატრავს ღამეს შავ  
მუცელს

მოწყენლი ცა ისევ თესავს სიბნელის  
მარცვლებს,  
მაგრამ მიმწუხრის ვარსკვლავები კენკავენ  
უცებ.

1983



## გათმნდა სივრცე

ეძინათ მინდვრებს  
ტყის სიახლოვეს....  
და შუაღამით  
სოფლისკენ ლტოლვილთ  
დასდევდნენ მგლები  
უდედო კვიცებს,  
მათ დასახსნელად მოვიდა თოვლი –  
გათენდა სივრცე.

1967



## თამარ

მიხარის – გიმზერ, კწუხვარ – და გიმზერ  
და ქსრეთ მზერა მსურს ხიჯდილამდე  
გრ. ორბეგლიანი

ასეც მიყვარხარ...

ბეთანია შენი თვალებით –  
შიშს და სიყვარულს  
ნუდარ მაძალებს,  
თამარ! – ღმერთქალო, იდუმალი ხმებით  
მოცულო,  
შენი თვალები არის წყვილი ლოცვის  
ტაძარი,  
სადაც მუხლმოყრით საქართველო  
დღესაც ლოცულობს...

1983

## პორიდა

დგანან პირისპირ

წუთისოფლის

ტრიალ მინდორზე

ჩემი ყოფნა და ჩემი არყოფნა,

დგანან ამაყად და მიხარია.

ყოფნა –

ხარია,

არყოფნა კი –

ტორეადორი.

კორიდა!

მორჩა....

გათავდა...

უნდა დარჩეს ერთი,

ორიდან, –

კორიდა!

1957

## შემოგომა სვანეთში

სვანები ბალახს და ღამეებს  
ისევ თიბავენ,  
შემოდგომა კი აღარ იღევა.  
მზეზე ნაკვერი ელავს მთვარის  
მოხრილი ცელი  
და გუგუნებენ მთები „ლილეოს“  
ენგურის  
ყელით.

1950



## დიდი პავანი

ზურაბს და დაჩის

ჩემი დროც მოვა,

ჟამიც დარეკავს დიდი ჰაემნის...  
თქვენი ძმები ხართ და... ღმერთმა

გაშოროთ

ბედი, შავ-ბედი აბელ-კაენის...  
კაიკაცობა, —

შეურყვნელი ღვინოა ძელგი,  
რომელსაც მუდამ ღვთის მადლი და  
მირონი

შვენის....

ჩემი სამშობლოს —

სიყვარულის დამადგით ძეგლი...  
და... უკვდავება იქნება ჩემი.

1977

## ბახტოონი

სივრცეებს ზარავს უმხედრებო  
ცხენთა ჭიხვინი,  
სიკვდილი დაქქრის ფრთებით ისრების...  
დამარცხდა მტრები...  
კარგად ვიომეთ! –  
ხმა მესმის ზეზვას და ელიზბარის...  
წარსულის მძიმე ომის კვამლში წევს  
ბახტრიონი,  
ვითა ცხადი და... ვითა სიზმარი.

1962



## მთანი მაღალი

ცისა და მიწის ვარ მბრძანებელი,  
 და ახლა მამლებს  
 სიჩუმიდან  
 მზე რომ ამოჰყავთ,  
 ჩემია იგი, —  
 მიანდერძეს ჩემმა ძველებმა,  
 ჩემია ვაჟას  
 „მთანი მაღალნი“,  
 შორით რომ სჩანან  
 საქართველოს ცის გაგრძელებად.

1954



\* \* \*

... და მზეს ჩამავალს

ქარი მისდევს

ხელებგაწვდილი,

და მზეს სხივების სცვივა, ნაყოფი,

ბნელი ძახილი ისმის დაისის.

ვზივარ ზღვისკარად,

ვდარდობ წუთებს


ქვეყნად არყოფნის,

დაქო ჩიტი კი...

უდარდელად გალობს

თავისთვის.

1999



\* \* \*

პაპა მეტყოდა ვარსკვლავთმრიცხველი:

— ცაში მნათობი ვთვალე...

ვთვალე...

ვეღარ დავთვალე

და აჲა ასი მიიწერა ზაფხულ-ზამთარი.

დამე ქი,

დამე მოვერცხლილი მთვარის

სათვალით,

ვარსკვლავთა წიგნებს კითხულობს და...

ვეღარ ამთავრებს.

1963



\* \* \*

ჩემში უფალი ზის და მკარნახობს  
ცხოვრების წიგნს და...  
როს შეეშლება,  
მამაზეციერს მინდა გუყვირო:  
კმარა!  
შეჩერდი!  
პოეზიის ამ სიუხვეში,  
ჩემი ლექსები არის ჩემებრ  
მთლად გულუბრყვილო,  
ჩემებრ დიდგულა,  
ჩემებრ ფიცხი,  
ჩემებრ უხეში!

1972



\* \* \*

ଫାଁଝିଯିତବାଗାଧ, ରନ୍ଧରରୁ ମନ୍ଦିରାବେ,

କାର୍ତ୍ତିକୀ ମନାଲ୍ଲବା

ଶେଷମନ୍ଦିରାମା

ବ୍ୟକ୍ତିଗତ ଓ ଶିରଦିଲିଖି

ଓ ଦିନବିନି -

ରାଜନୀତି ରମ୍ଭରତି ଉଦ୍‌ଦେଶ୍ୟରେ ମନ୍ଦିରା.

ଜାତିକା - ସାମନ୍ଦିରି ନିର୍ମଳିକ

ଚାଲିଲି ଓ ଶୁଣିଲି,

ପରିଶୋ -

ବାରଦିଲିଖିରାଧ ଶେରିଏବେଳେ ବାହିନୀରେମା ଲାଗୁଥା.

1984



## ცისარტყელას ავგაროზი

როს დაეჭახა ღრუბელს  
ღრუბელი,  
ელგამ მათრახით ცა  
გაროზგა.

და... ღმერთს ვარდისფერი ცისარტყელა,  
ყელზე კვლავ ჰკიდია  
ავგაროზად.

1972



## საქართველოს ისტორია

ათასწლეულთა ოქეანიდან

ამოვიყვანე და...

ისტორია

